ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 3-14

24 თებერვალი
"---"-------- 2017 წ

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის № 20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის № 20-93 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 05/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010270000.35.101.016111) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სპეციალურ ადგილზე პირუტყვის გადაყვანის და დღიური მოვლა-პატრონობის ხარჯი შეადგენს:

ა) გადაყვანა სპეციალურ ადგილზე - 100 ლარს;

ბ) დღიური მოვლა-პატრონობა:

ბ.ა) მსხვილფეხა პირუტყვის - 15 ლარს;

ბ.ბ) წვრილფეხა პირუტყვის - 10 ლარს.".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის № 20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის № 20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მომზადებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს, როგორც ამავე წესით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ, დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას ნორმატიული აქტით დადგენილი პროცედურების პრაქტიკული უზრუნველყოფის მექანიზმის შექმნის მიზნით.

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის" მე-3 მუხლით დადგენილია პასუხისმგებლობის ფარგლები ამ წესის დარღვევისთვის. აღნიშნული რეგულაცია ითვალისწინებს სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი პირუტყვის (მუნიციპალურ ტერიტორიაზე დაფიქსირებული უმეთვალყურეოდ მყოფი პირუტყვი) მესაკუთრისთვის დაბრუნების პროცედურას, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის გადახდის, ასევე სპეციალურ ადგილზე პირუტყვის გადაყვანის და მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების შემდეგ. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი სპეციალურ ადგილზე პირუტყვის გადაყვანის და მოვლა-პატრონობის ხარჯები, რაც შეუძლებელს ხდის ნორმატიული აქტით დადგენილი პროცედურის პრაქტიკაში აღსრულებას და საჭიროებს შესაბამის დარეგულირებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 79-ე მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მთავრობის წინადადებით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს დაუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდებით (დებულებით) განსაზღვრული საქმიანობის, მომსახურების ან/და დაჩქარებული მომსახურების, მათ შორის, მშენებლობის ნებართვის დაჩქარებული წესით გაცემის მომსახურების, საფასურის ოდენობა.

რაც შეეხება ხსენებული ხარჯების (პირუტყვის გადაყვანის და მოვლა-პატრონობის) ოდენობის განსაზღვრის საკითხს, გათვალისწინებული იქნა შემდეგი გარემოებები:

1. სპეციალურ ადგილზე პირუტყვის გადაყვანის ხარჯების განსაზღვრის მიზნით შესწავლილია სხვადასხვა მუნიციპალიტეტების შესაბამისი ნორმატიული აქტები და ადგილობრივი „მომსახურების ბაზარი". შედეგად, მონაცემები ვერ იქნა მიღებული, ვინაიდან სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მიერ დადგენილია მხოლოდ პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯები (ტრანსპორტირების ხარჯების გარეშე), ხოლო მსგავსი მომსახურება თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არ გამოვლინდა. შესაბამისად, სამუშაოები გაგრძელდა პროცედურების დეტალიზაციის და სრული პროცესის თვითღირებულების დადგენის მიმართულებით. შედეგად, სპეციალურ ადგილზე პირუტყვის გადაყვანის ხარჯების დადგენისას მხედველობაში მიღებულია:

- პირუტყვის ტრანსპორტირების საშუალო მანძილი და დრო;

– სატვირთო ავტომანქანის მიერ საშუალო მანძილზე და დროში გახარჯული საწვავის ღირებულება;

– საშუალო მანძილზე და დროში გახარჯული სატრანსპორტო საშუალების ცვეთის ღირებულება;

– კონკრეტულ დროში დახარჯული ადამიანური რესურსის შრომის ანაზღაურება;

– სატრანსპორტო საშუალების სავალდებული სანიტარული დასუფთავების და დეზინფიცირების ხარჯი.

2. პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯების განსაზღვრის მიზნით ასევე შესწავლილია სხვადასხვა მუნიციპალიტეტების (ბაღდათის, ვანის, ზუგდიდი, თიანეთის, ოზურგეთის, სენაკის, წალენჯიხის, წყალტუბოს) შესაბამისი ნორმატიული აქტები და ადგილობრივი „მომსახურების ბაზარი" (თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული კერძო მსხვილი თუ წვრილი ფერმერული მეურნეობები), კონსულტაციები გავლილია საქართველოს მეცხოველეობის ინსტიტუტთან და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტთან. შედეგად, დადგენილია დღიური კვება-დაწყურვების საშუალო ნორმები და მოვლა-პატრონობის თავისებურებები წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის შემთხვევებში.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი (დამატებითი) ხარჯების გამოყოფას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

პროექტით გათვალისწინებული, სპეციალურ ადგილზე პირუტყვის გადაყვანის და დღიური მოვლა-პატრონობის ხარჯების ოდენობის დადგენის პროცესში გამოყენებულია შემდეგი მონაცემები:

1. სპეციალურ ადგილზე პირუტყვის გადაყვანის დანახარჯების დასადგენად გათვალისწინებულია:

– პირუტყვის ტრანსპორტირების საშუალო მანძილი და დრო. პირუტყვის განთავსების მიზნით დროებითი „სპეციალური ადგილი" მდებარეობს ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის ტერიტორიაზე (ა.თვალჭრელიძის ქ. № 17-ა, ე.წ. ვარკეთილის მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბების და პირუტყვის ყოლის ძირითადი პერიფერიული ადგილმებარეობების გათვალისწინებით, სპეციალურ ადგილამდე პირუტყვის ტრანსპორტირების საშუალო მანძილად განისაზღვრა 20 კილომეტრი, ერთი მიმართულებით. შესაბამისად, ტრანსპორტირების საერთო საშუალო მანძილად განსაზღვრულია 40-კილომეტრიანი მანძილი. მითითებული მანძილის დასაფარად, ასევე ადგილზე პირუტყვის დაჭერის და სატრანსპორტო საშუალებაზე მისი აყვანის-განთავსების საშუალო დროდ განსაზღვრულია ორი საათი.

– სატვირთო ავტომანქანის მიერ საშუალო მანძილზე და დროში გახარჯული საწვავის ღირებულება - *საშუალო მანძილზე გახარჯული საწვავის ღირებულების გათვლისას გასათვალისწინებელია, რომ პირუტყვის ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია დაახლოებით 3-4 ტონა ტვირთამწეობის, სპეციალური ჰორიზონტალური ამწე-პლათფორმით აღჭურვილი სატვირთო ავტომანქანის შეძენა. ბაზრის კვლევის შედეგებით, მსგავსი მონაცემების ავტომანქანის საშუალო საწვავის ხარჯი 100 კმ-ზე შეადგენს დაახლოებით 11-13 ლიტრ დიზელის საწვავს, შესაბამისად 10 კმ-ზე - 1.1-1.3 ლიტრს. ამასთან, შპს „ჯითიმოტორს"-ს ინფორმაციით, მოძრაობის ინტენსივობის, დატვირთულობის და რელიეფის გათვალისწინებით, ზემოხსენებული ავტომანქანის საწვავის ხარჯი 100 კმ-ზე შეადგენს დაახლოებით 12 ლიტრს. დიზელის საწვავის კონსოლიდირებული ტენდერის დღევანდელი ფასიდან გამომდინარე, ერთი ლიტრი დიზელის საწვავის ღირებულება შეადგენს 1.43 ლარს, შესაბამისად 10 კმ-ზე დიზელის საწვავის მიახლოებითი ხარჯი იქნება 1.2 x 1.43 = 1.71 ლარი, ხოლო 40-კილომეტრიან მანძილზე - დაახლოებით 6.9 ლარი (1.71 x 4 = 6.84). აღნიშნული ხარჯი შეიძლება შეიცვალოს საწვავის ღირებულების ცვლილების შემთხვევაში.*

– საშუალო მანძილზე და დროში გახარჯული სატრანსპორტო საშუალების ცვეთის ღირებულება - *საშუალო მანძილზე გახარჯული სატრანსპორტო საშუალებათა ცვეთის ღირებულების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ პირუტყვის ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია დაახლოებით 2-3 ტონა ტვირთამწეობის, სპეციალური ჰორიზონტალური ამწე-პლათფორმით აღჭურვილი სატვირთო ავტომანქანის შეძენა. ბაზრის კვლევის შედეგებით, ახალი ავტომობილის (მაგალითად, FORD TRANSIT-ის) ღირებულება შეადგენს დაახლოებით 23 000 ევროს ექვივალენტს ლარში (23 000 ევრო x (ვალუტის კურსი) 2.89 = 66 470 ლარი). მსგავსი ავტომობილის წლიური ცვეთა შეადგენს 66 470 x 20% = 13 294 ლარს. შესაბამისად, დღიური ცვეთა იქნება 13 294/365 = 36.4 ლარი, ხოლო ორი საათის ცვეთა - 36.4/12 = 3.03 ლარი.*

– კონკრეტულ დროში დახარჯული ადამიანური რესურსის შრომის ანაზღაურება - *კონკრეტულ დროში დახარჯული ადამიანური რესურსის შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ რეაგირების ეკიპაჟი შედგება სამი წევრისაგან (ერთი მძღოლი-დამჭერი და ორი ცხოველებისა და ქვეწარმავლების დამჭერი). თითოეული ზემოხსენებული თანამშრომლის ერთი თვის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1180 ლარს. შესაბამისად, ეკიპაჟის ერთი წევრის დღიური ანაზრაურება იქნება 1180/30 = 39.3 ლარი, 3-კაციანი ეკიპაჟის დღიური ანაზრაურება იქნება 39.3 x 3 = 117.9 ლარი, ხოლო 3-კაციანი ეკიპაჟის მუშაობის ორი საათის ანაზრაურება იქნება 117.9/12 = 9.83 ლარი.*

– სატრანსპორტო საშუალების სავალდებული სანიტარული დასუფთავების და დეზინფიცირების ხარჯის *განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო ერთჯერადი სანიტარული დასუფთავების ხარჯი შეადგენს 25 ლარს, ერთჯერადი დეზინფექციისთვის საჭიროა 2.3 ლარის ღირებულების სადეზინფექციო საშუალება, ხოლო სადეზინფექციო მომსახურების (დამუშავების) ღირებულება შეადგენს 2.7 ლარს. შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალების ერთჯერადი სანიტარული დასუფთავების და დეზინფიცირების საერთო ღირებულება იქნება 25.0 + 2.3 + 2,7 = 30.0 ლარი.*

– პირუტყვის ბიომასალის სავალდებულო ერთჯერადი ლაბორატორიული კვლევის მოცულობის-პარამეტრების დადგენის და ღირებულების განსაზღვრის მიზნით, სააგენტომ წერილობით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს. მიღებული ინფორმაციის თანახმად, „სპეციალურ სადგომზე ცხოველების დროებით განთავსებისას მიზანშეწონილია განხორციელდეს მათი კლინიკური დათვალიერება და დიაგნოსტიკური კვლევები. დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით მიზანშეწონილია შემდეგი სახეობის ცხოველებზე შემდეგი კვლევების განხორციელება:

– მსხვილფეხა საქონელი (კამეჩი, ძროხა/ხარი) - ბრუცელოზი (B.abortus) და ტუბერკულოზი;

– წვრილფეხა საქონელი (ცხვარი, თხა) - ბრუცელოზი (B.melitensis) და ტუბერკულოზი კენტჩლიქიანი ცხოველები (ცხენი, სახედარი) - ქოთაო".

ზემოხსენებული კვლევების (ცხოველების ბიომასალის აღების, სინჯების შეფუთვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვაშლიჯვრის ლაბორატორიამდე და უკან (სპეციალურ ადგილამდე, ა.თვალჭრელიძის 17-ა) ტრანსპორტირების, უშუალოდ ლაბორატორიული კვლევის ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება შეადგენს დაახლოებით 25 ლარს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სპეციალურ ადგილზე პირუტყვის გადაყვანის ხარჯების საშუალო თვითღირებულება შეადგენს 74.76 ლარს (*6.9 + 3.03 + 9.83 + 30.0 + 25.0*):

ანგარიშსწორების გამარტივების და შესაძლო გაუთვალისწინებელი დანახარჯების კომპენსირების მიზნით, სპეციალურ ადგილზე პირუტყვის გადაყვანის ხარჯების საშუალო ოდენობა მიზანშეწონილია განისაზღვროს 100 ლარის ოდენობით.

2. პირუტყვის ყოველდღიური კვების ნორმების დასადგენად გათვალისწინებულია:

– ძროხა - დღიურად საჭიროა 30 %-იანი კონცენტრატი და 70 %-იანი უხეში საკვები. 300 კგ. -იან ცოცხალ წონაზე დღიურად საჭიროა 4კგ. კომბინირებული საკვები, 25-30 კგ. თივა, 30-40 ლიტრი

წყალი. უხეშ საკვებში იგულისხმება თივა და ბალახი, კომბინირებულ საკვებში კი სიმინდის ღერღილი, ქერის ღერღილი, ქატო და კომბტონი. თივის დაპრესილი ბრიკეტის (25-30 კგ.) ღირებულება შეადგენს დაახლოებით - 6-7 ლარს, კომბინირებული საკვები 1კგ. - დაახლოებით 2-3 ლარს;

– ცხენი (იგივე ვირი) - დღიურად ესაჭიროება 25 %-იანი კონცენტრატი, 75 %-იანი უხეში საკვები, 30-40 ლიტრი წყალი. უხეშ საკვებში იგულისხმება თივა, ბალახი, კომბინირებულში - შვრისა და ქერის ღერღილი. ზრდასრულ ცხენს დღიურად ესაჭიროება 2-3 კგ. კონცენტრატი და 20-25 კგ. თივა. თივისა და კომბინირებული საკვების ღირებულება დაახლოებით იდენტურია ზემოხსენებული (ძროხის შემთხვევაში) ღირებულების;

– ცხვარი და თხა - დღიურად ესაჭიროება 20 %-იანი კონცენტრატი და 80 %-იანი უხეში საკვები, 3-4 ლიტრი წყალი. კომბინირებულ საკვებს შეადგენს შვრია და ქერი, ხოლო უხეშს - თივა და ბალახი, ზრდასრულ ინდივიდს (10 კგ-ნი ცოცხალ წონაზე მეტ შემთხვევაში) - დაუღერღავი უხეში საკვები, დღეში 150 - 200 გრამი.

3. პირუტყვის დღიური მოვლა-პატრონობის ნორმების დასადგენად გათვალისწინებულია:

– პირუტყვის კვება-დაწყურვების უზრუნველყოფა;

– მეწველი პირუტყვისგან რძის მიღების უზრუნველყოფა;

– პირუტყვის სადგომის სანიტარული დასუფთავება. აღნიშნული ამოცანების უზრუნველსაყოფად დაახლოებით 10 სული მსხვილფეხა პირუტყვის (პროგნოზირებული დატვირთვა) ერთდროული მოვლის პირობებში აუცილებელია ერთი სანიტარული დამლაგებლის და ერთი პირუტვის მომვლელის მომსახურება. *კონკრეტულ დროში (დღის განმავლობაში) დახარჯული ადამიანური რესურსის შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ თითოეული ზემოხსენებული თანამშრომლის ერთი თვის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 700 ლარს. შესაბამისად, ერთი თანამშრომლის დღიური ანაზრაურება იქნება 700/30 = 23.3 ლარი, 2 თანამშრომლის დღიური ანაზრაურება იქნება 23.3 x 2 = 46.6 ლარი. შესაბამისად, ერთი სული პირუტყვის (პროგნოზირებული 10 სულის გათვალისწინებით) მოვლა-შენახვის დღიური ნორმა იქნება 46.6 / 10 = 4.66 ლარი.*

ზემოხსენებული პარამეტრების გათვალისწინებით, მსხვილფეხა პირუტყვის კვება-დაწყურვების და მოვლა-შენახვის დღიური ნორმის თვითღირებულება შეადგენს დაახლოებით 8-10 ლარს, ხოლო წვრილფეხა პირუტყვის - დაახლოებით 5-8 ლარს.

„ბაზრის კვლევის" ზემოხსენებული შედეგების გათვალისწინებით, ასევე ანგარიშსწორების გამარტივების და შესაძლო გაუთვალისწინებელი დანახარჯების კომპენსირების მიზნით, პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯების საშუალო ოდენობა მიზანშეწონილია განისაზღვროს შემდეგნაირად:

- მსხვილფეხა პირუტყვის მოვლა-პატრონობა - 15 ლარი/დღეში;
- წვრილფეხა პირუტყვის მოვლა-პატრონობა - 10 ლარი/დღეში.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო.

დ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.